



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



ქალაქი ფოთი

№ 04/1878

09 / დეკემბერი / 2019 წ.



KA000070484301919

**ქალაქ ფოთში, ცოტნე მირცხულავას, კოტე მესხის, ექვთიმე თაყაიშვილის, ოთარ კიკალეიშვილის და ვანო სარაჯიშვილის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფოს ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახლებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2007 წლის 24 ოქტომბრის, N 233 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2019 წლის 05 დეკემბრის, N 5/71185 წერილის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნილებული ქონება, ქალაქ ფოთში, ცოტნე მირცხულავას ქუჩაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტზე (საავტომობილო გზა) დამაგრებული 1878.00 კვ.მ., კოტე მესხის ქუჩაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტზე (საავტომობილო გზა) დამაგრებული 1294.00 კვ.მ., ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტზე (საავტომობილო გზა) დამაგრებული 1609.00 კვ.მ. და 3008.00 კვ.მ., ოთარ კიკალეიშვილის ქუჩაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტზე (საავტომობილო გზა) დამაგრებული 1567.00 კვ.მ. და 5126.00 კვ.მ. და ვანო სარაჯიშვილის ქუჩაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტზე (საავტომობილო გზა) დამაგრებული 1390.00 კვ.მ., არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ძირითადი ქონების სახით.

**მუხლი 2.** ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება, თანდართული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების (ელ. ვერსია) შესაბამისად.


**მუხლი 3.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან

ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემტრონულად 

გონა კურდღელია